FROM A BATTLE OF IDEAS TO A DUEL - A HISTORICAL PERSPECTIVE ON POLEMICS

აზრთა ჭიდილიდან დუელამდე - ერთი პოლემიკის ისტორიიდან

KETEVAN BARBAKADZE

Doctor of Pedagogical Sciences,
Associate Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze St., No. 53, 1400, Georgia,
+995 577151211, qbarbakadze@gmail.com
https://orcid.org/0000-0002-8706-2102

DAVID TCHIOTASHVILI

Doctor of Economic Sciences,
Gori State University professor,
Gori, Chavchavadze St., No. 53, 1400, Georgia,
+995 599509067, tchiotashvili@gmail.com
https://orcid.org/0000-0002-2500-6252

Abstract: In Georgia in the 1890s, a duel captured the public's attention. On February 29, 1880, the famous public figure Niko Nikoladze challenged the well-known writer and publicist Ilia Chavchavadze to a duel, following a lengthy controversy. The duel did not take place. As the first biographer of Ilya, Gr. Kipshidze imagines that Simborski, one of Niko Nikoladze's subordinates (the note is ours - K.B., D.Ch.). As a kind-hearted man, tried to reconcile the opponents. When he realized he couldn't do anything, he started complaining. Because none of them were fatal. Whether this was the reason or another circumstance was involved is somewhat unknown, but fortunately, the case ended in reconciliation. Ilia Chavchavadze's financial and banking activities are primarily studied by economists, while Niko Nikoladze's letters are mainly examined by literary researchers. However, the investigation of the reasons behind the duel is portrayed as an initial endeavor.

The paper reviews the highly polemical letters exchanged between former associates, Ilia Chavchavadze and Niko Nikoladze. In addition, the opinions of other individuals involved in the controversy, such as Akaki Tsereteli and Sergey Meskhi, regarding the aforementioned dispute are also presented.

Keywords: „Droeba“; „Obzori”; economy; bank; controversy; duel.

ქეთევან ბარბაქაძე
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., № 53, 1400, საქართველო,
+995 577151211, qbarbakadze@gmail.com
https://orcid.org/0000-0002-8706-2102

დავით ჭიოტაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., № 53, 1400, საქართველო,
+995 599509067, tchiotashvili@gmail.com
https://orcid.org/0000-0002-2500-6252

აბსტრაქტი: XIX საუკუნის 90 - იანი წლების საქართველოში საზოგადოების ყურადღება ერთმა დუელმა მიიპყრო. 1880 წლის 29 თებერვალს ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ - ნიკო ნიკოლაძემ ასევე ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე დუელში გამოიწვია, რომელსაც წინ ხანგრძლივი პოლემიკა უძღოდა. დუელი არ შედგა. როგორც ილიას პირველი ბიოგრაფი გრ. ყიფშიძე იგონებს, სიმბორსკიმ, (ნიკო ნიკოლაძის ერთ-ერთი სეკუნდანტი - შენიშვნა ჩვენია - ქ.ბ., დ.ჭ.), როგორც გულჩვილმა კაცმა, სცადა მოწინააღმდეგეთა შერიგება და, რაკი ვერა გააწყო რა, ქვითინი დაიწყო. ვინაიდან არც ერთი არ ემეტებოდა სასიკვდილოდ. ეს იყო მიზეზი, თუ სხვა გარემოებაც დაერთო, გარკვეულწილად უცნობია, თუმცა, საბედნიეროდ, საქმე შერიგებით დამთავრდა. ილია ჭავჭავაძის საფინანსო-საბანკო საქმიანობა, თუ ნიკო ნიკოლაძის წერილები შესწავლილია უპირატესად ეკონომისტთა თუ ლიტერატურის მკვლევართა მიერ, მაგრამ ამ კუთხით დუელის მიზეზთა კვლევა პირველ მცდელობად წარმოგვიდგება.

ნაშრომში მიმოხილულია სწორედ ის პოლემიკური წერილები, რომელიც წინ უძღოდა ერთ დროს თანამოაზრეთა (ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე) დაპირისპირებას. გარდა ამისა, წარმოდგენილია პოლემიკაში ჩართული სხვა პირების (აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი და სხვ) მოსაზრებებიც ზემოხსენებულ დავასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: ,,დროება''; ,,ობზორი''; ეკონომიკა; ბანკი; პოლემიკა; დუელი.

შესავალი: XIX საუკუნის საქართველოში დუელი თითქოს გასაკვირი არ უნდა იყოს, თუმცა, ერთ დროს ორ მეგობარს - ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს, შორის მაინც უცნაურად მოჩანს. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა გახდა დაპირისპირების საფუძველი? ვფიქრობთ, დავა იმ პერიოდის საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას უნდა ეხებოდეს, რომელთაგან ერთ-ერთს უმნიშვნელოვანესი საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტის, ბანკის დაარსების საკითხი წარმოადგენს.

ჩვენი აზრით, აღნიშნულ საკითხს მკვლევართა ნაწილი (დ. გამეზარდაშვილი, ზ. აბზიანიძე და სხვ.) ნაკლებად ეხება. მკვლევართა მეორე ჯგუფი (ა. თელია, ლ. ჭრელაშვილი, შ. ქილიტაური) კი სიღრმისეულად განიხილავს იმ მიზეზებს, რომლებმაც ეს ორი ადამიანი დუელამდე მიიყვანა. სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობის პროცესში მივედით იმ აზრამდე, რომ დუელი გამოწვეული იყო ბევრი სხვა მიზეზითაც. აღნიშნული პოლემიკის მწვერვალის (დუელის) მიზეზების კვლევა ლიტერატუათმცოდნეობაში საკმაოდ დელიკატურია, რამდენადაც ილია ჭავჭავაძეც და ნიკო ნიკოლაძეც თანამოაზრენი იყვნენ სოციალურ თუ ეროვნულ საკითხებში, თუმცა, ორივეს ხასიათიდან გამომდინარე, მათი ჯანსაღი პოლემიკა ატარებდა არა პიროვნულ, არამედ საზოგადოებრივ ხასიათს, მითუმეტეს, რომ დღემდე გაურკვევლად რჩება საკითხი დუელის ინიციატორის შესახებ (გ. ყიფშიძე, ი. მეუნარგია, ა. ბაქრაძე).

აღნიშნული საკითხი მწიფდებოდა ათი წლის მანძილზე და, ორივე პიროვნების ხასიათებიდან გამომდინარე სხვადასხვა დროს ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით იჩენდა თავს. მკვლევარი დავით გამეზარდაშვილი ეხება რა ნიკო ნიკოლაძისა და მის თანამედროვე მოღვაწეთა შორის არსებულ ურთიერთობას აღნიშნავს, რომ: ,,...ნ. ნიკოლაძე მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევდა საზოგადოებრივ-სამოღვაწეო ასპარეზზე ნიჭიერი და საქმიანი ახალგაზრდობის გამოჩენას. ამ უკანასკნელთა შრომაზე, მისი შეხედულებით, ბევრად იყო დამოკიდებული ქართველი ხალხის მომავალი ცხოვრება, ამ ცხოვრების ხასიათი. ამიტომ ის საჭიროდ თვლიდა ობიექტური კრიტიკის საგნად

გამხდარიყო ყველა მოღვაწის აზრი და ნამოღვაწარი, ყველას მიზღოდა საქმის და არა ერთხელ შექმნილი ავტორიტეტის მიხედვით. ამ მხრივ იგი დაუზოგველი და პირდაპირი იყო, და თუ თვითონაც ცდებოდა, ცდებოდა გულწრფელად და არა პირადული თავმოყვარეობიდან გამომდინარე; სხვისი აზრის ჭეშმარიტი პატივისმცემელი ბრმად არაფერს იღებდა და არავის აყვებოდა'' (ხაზი ჩვენია - ქ.ბ., დ.ჭ.) (გამეზარდაშვილი, 1978: 183). ამის დასტურად დ. გამეზარდაშვილს მოჰყავს იმპერატორ ალექსანდრე მეორისადმი 1871 წლის ივნისში გაგზავნილი თხოვნის გარშემო ქართველ თავადაზნაურობის ნაწილსა და ახალ ინტელიგენციას შორის ატეხილი პოლემიკა, რომელშიც ნ. ნიკოლაძე მხოლოდ მოგვიანებით ჩაერთო ,,ახალი ინტელიგენციის'' სასარგებლოდ. აღნიშნული ნათელს ფენს ფაქტს ნიკო ნიკოლაძის ზემოხსენებულ საკითხთან დამოკიდებულებას, მაშინ, როდესაც ილია ჭავჭავაძეს თავიდანვე ჰქონდა მკაცრად ჩამოყალიბებული პოზიცია უნივერსიტეტის გახსნის აუცილებელ მოთხოვნასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, წინამდებარე სტატიაში ეს ერთი იმ საკითხთაგანია, რომელიც არაა განხილული მკვლევართა მიერ დუელის მიზეზებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარი ლ. ჭრელაშვილი პუბლიკაციაში ,,ნ. დავითიშვილი'' დაწვრილებით განიხილავს ილიასა და ნიკო ნიკოლაძის შორის დუელის გამომწვევ მიზეზებს, მკაფიოდ არ აყალიბებს ყველა შესაძლებელ ფაქტს პოლემიკის დუელამდე მისვლისა. ჩვენ შევეცადეთ შესწავლილ მასალაზე დაყრდნობით მკაფიოდ განგვეხილა აღნიშნული პრობლემა, რამდენადაც იგი ერთი მხრივ ეხება ორი დიდი პიროვნების პოლემიკას, მეორეს მხრივ კი, აფართოვებს ჩვენს წარმოდგენას ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში ამ დუელის როლზე.

მეთოდები. მოცემულ ნაშრომში გამოყენებულ იქნა კომპარატივისტული კვლევის მეთოდები.

მსჯელობა და შედეგები. საკვლევი თემა ძირითადად ემყარება ორი მკვლევარის (ლ. ჭრელაშვილი, ა. თელია) მიერ შესწავლილ მასალებს. პირველი ,,ივერიის'' თანამშრომლის ნ. ქანანოვის ფსევდონიმით (ნ. დავითიშვილი) გამოქვეყნებულ წერილების სერიას ქართულ პერიოდიკაში სახელწოდებით ,,ფიქრი და შენიშვნა'' [ივ. 1879, №1; ,,ფიქრი და შენიშვნა'', ივ. 1879, №2; ,,ფიქრი და შენიშვნა'', ივ. 1879, #3; გაზ. ,,დროებაში'' 1880 წელს ხელმოუწერლად დაბეჭდილი ვრცელი პუბლიცისტური წერილი ,,ფიქრი და შენიშვნა'' (№№ 28, 30, 39, 41] (ჭრელაშვილი. ლ.,: 134), ხოლო მეორე მკვლევარი საკმაოდ საფუძვლიანად განიხილავს სათავადაზნაურო ბანკის ირგვლივ გამართული კამათის პერიპეტიებს. ვიზიარებთ მკვლევარ ლ. ჭრელაშვილის თვალსაზრისს, რომ ნამდვილად ილია უნდა ყოფილიყო ზემოდასახელებული წერილების ავტორი, რამაც სასტიკად გააღიზიანა ნიკო ნიკოლაძე, მითუმეტეს, რომ იგი ეხებოდა ქართული სალიტერატურო ენის, ნ. ნიკოლაძის მწერლური ნიჭისა და მისი მოგონებების კრიტიკას.

ლ. ჭრელაშვილი დუელის ერთ-ერთ მიზეზად თვლის (თუმცა დასაბუთებულად არ აფიქსირებს) 1880 წელს გაზეთ ,,დროებაში'' გამოქვეყნებულ წერილს (,,ფიქრი და შენიშვნა''), რომელშიც გაკრიტიკებულია ნ. ნიკოლაძის ნაწარმოები, კერძოდ, ,,მამულის სიყვარული და მსახურება''. ,,გაზ. ,,დროებაში'' 1880 წელს (№№ 28, 30, 39, 41) ხელმოუწერლად დაიბეჭდა ,,ფიქრი და შენიშვნა'' , რომელიც მთლიანად მიძღვნილია ნ. ნიკოლაძის მიერ 1879 წელს გამოცემული ალმანახისადმი. ,,უფ. ნიკოლაძემ ხელახლა გამოყო თავი ქართულს მწერლობაში და გამოსცა წიგნი სახელით ,,საახალწლო'', - წერს უცნობი ავტორი; იგი მკითხველს პირდება, რომ ,,ჩემი ყურადღება მიქცეული იქნება განსაკუთრებით უკანასკნელ წერილზედ (,,მამულის სიყვარული და მსახურება'' - ლ.ჭ),'' მაგრამ გაკვრით სხვა წერილებიც აქვს განხილული.

,,ფიქრი და შენიშვნის'' ავტორი ეხება რა ალმანახში მოთავსებულ მოგონებებს ,,სტუდენტობის პირველ დროზე'' შენიშნავს: ,,ამ წერილს, რომელიც უფ. ნიკოლაძეს თითქმის ორას გვერდზედ გაუჭრელებია, არავითარი საზოგადო ინტერესი და მნიშვნელობა არა აქვს. რო იცოდეთ რა არ ჩაუწერია უფ. ნიკოლაძეს ამ წერილში; დახე, რა რიგად ჰყვარებია ნიკოლაძეს თავისი თავი, მოჰყოლია და დაწვრილებით უამბობს მკითხველს თუ, გიმნაზიიდამ გამოსული, როგორ და რა გზით წასულა ქუთაისიდამ პეტერბურღში''. უფ. ნიკოლაძე მარტო თავის თავისათვის და თავის ნაცნობებისათვის თუ სწერს, თორემ სხვას ვის უნდა ყველა ეს გაჭრელებული, ყოვლად უაზრო და უმნიშვნელო ყბედობა'' (ჭრელაშვილი, 1997: 137).

დროების 30- ე ნომერში ილია ჭავჭავაძე, კვლავ განიხილავს რა ნიკოლაძის წერილს ,,მამულის სიყვარულზედ'', აცხადებს, რომ ნიკო ნიკოლაძე იყენებს დრეპერის ერის დაბერების თეორიას, რის მიხედვითაც იგი საზოგადოების განვითარებას ოთხ პერიოდად ყოფს. ,,აქ ავტორი განმარტავს, რომ ,,უბედური'' მკითხველი ,,მესამე უკუბრუნებულს პერიოდში'' იმყოფება და, ნ. ნიკოლაძის აზრით, ქართველ ხალხს ამ პერიოდის სწრაფად გავლა შეუძლიან, თუ წარსულის მხსნელი - ,,ისტორიის ფილოსოფიის'' მცოდნე პირები ეყოლება: ,,მართალიაო ისწორებს ნიკოლაძე, კაცის გონიერებასაც ბევრი შეუძლიან, მაგრამ ეს შეძლება მარტო ამაში მდგომარეობსო, რომ ზოგი პაიკი გაიგებს, რა ძალა ათამაშებს იმას და ამ ძალით ისარგებლებს, და ზოგი კი ვერაო. შენ, მკითხველო, რასაკვირველია, ეს უკანასკნელი პაიკი ხარ, რადგანაც არამც თუ შესწავლით (ისიც ზედმიწევნით), არამედ იქნება გაგონებითაც არ გაგიგონია, რა არის ,,ისტორიის ფილოსოფია'' (ჭრელაშვილი, 1997: 138).

გარდა ამისა, ,,ფიქრი და შენიშვნის'' შემდეგ ნომერში (№39) ილია უარყოფს რუსი სლავიანოფილებისა და ქართველი ,,ევრიელების'' ნ. ნიკოლაძის აზრის ,,ცრუ - პატრიოტებად'' გაიგივებას. ,,იგი ამტკიცებს, რომ ნ. ნიკოლაძეს ყველაფერი აურევია, მან თვითონაც არ იცის, რაზე ლაპარაკობს'' (ჭრელაშვილი, 1997: 138). აქ ილია ნიკოლაძეს ბრალს დებს ,,სრულიად უცოდინრობაში'' და არამეცნიერულ მიდგომაში, ასევე უარყოფს ნიკოლაძის, როგორც ლიტერატურათმცოდნის, ღირსებას. სხვა ბრალდებებს შორის ილია იმ გაუგებრობას, რომელიც ახასიათებდა ნიკო ნიკოლაძის შეხედულებებს, ხსნის მისი უცხო ენაზე აზროვნებით.

ლ. ჭრელაშვილი, იკვლევს რა ნ. დავითიშვილის ფსევდონიმის ქვეშ პიროვნების ავტორობას, აღნიშნავს, რომ ,,დროების'' 41-ე ნომერში ამ ავტორის დასრულებული წერილების შემდეგ (,,,,დროების'' მიზეზად ქცეული ,,მოწინავე'' გამოქვეყნდა 46-ე ნომერში - 29 თებერვალს), გრიგოლ ყიფშიძის ცნობით, ნ. ნიკოლაძემ დუელში გამოიწვია ილია ჭავჭავაძე, ხოლო ,,ობზორის'' მოწინავე დაიბეჭდა მარტის პირველში, რომლის გამოც ი. მეუნარგიას ცნობით, ილიამ დუელში გამოიწვია ნ. ნიკოლაძე.

ნიკო ნიკოლაძის წერილში, რომელიც ,,ობზორში'' დაიბეჭდა, აღნიშნულია : ,,სხვა საქმეა ბატ. ჭავჭავაძე, ავტორი კაცია ადამიანისა, ყოფილი რედაქტორი ,,საქართველოს მოამბესი''. ამ ლიტერატორმა უნდა იცოდეს რა იბეჭდება მის გაზეთში. ჩვენ სიამოვნებით ვიყენებთ შემთხვევას სწორედ მას დავაკისროთ პასუხისმგებლობა ჩვენი ლიტერატურის მომავალი ისტორიის წინაშე გაზეთ ,,დროებაში'' ფეხმოდგმული ყველა საცოდავი ილეთის სისაძაგლის გამო'' (ჭრელაშვილი,1997: 144).

დუელის თემას ეხება მკვლევარი აკაკი ბაქრაძეც, რომელმაც თავის მონოგრაფიაში ,,ნ. ნიკოლაძე'' დუელის მიზეზად დაასახელა გაზეთ ,,ობზორში'' ნიკო ნიკოლაძის მიერ დაბეჭდილი სტატია, რის გამოც ილიამ იგი ორთაბრძოლაში გამოიწვია.

როგორც ლ. ჭრელაშვილი შენიშნავს, მკვლევარებმა ნ. გრიგალაშვილმა და პ. ნაცვლიშვილმა (,,დუელი გაზ. ,,სახალხო განათლება'', ოქტ. 1990) რატომღაც ვერ გამოიყენეს აკაკი ბაქრაძის წინა წლებში გამოცემული მონოგრაფია, რომელშიც იგი ეხება საბანკო პოლემიკის დროს ილიასა და ნიკოლაძის დაპირისპირებას. მათი აზრით,

,,არაფერია სადუელოდ დასანახი. მით უმეტეს რომ დუელის მიზეზად განვლილი ამბავი არ ხდება, დუელი ინიშნება შეურაცხყოფისთანავე'' (ჭრელაშვილი,1997: 144) .

თუმცა ყველა ზემოთ მოხსენიებული მკვლევარი მეტნაკლებად ეხება დაპირისპირების სხვადასხვა მიზეზს, მათ შორის ერთ-ერთ უმთავრესი უნდა ყოფილიყო სათავადაზნაურო ბანკის ირგვლივ გამართული პოლემიკა, რომელსაც სიღრმისეულად შეეხო ა. თელია წიგნში ,,ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე''.

ცნობილია, რომ თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო ბანკის დაარსების იდეა დიმიტრი ყიფიანს (რომელიც ამ დროს ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო) ეკუთვნის. დასაწყისში ილია ამ საკითხით დაინტერესებული არც ყოფილა. უფრო მეტიც, როგორც მკვლევარი ა. თელია შენიშნავს, ,,1872 წლის შემოდგომაზე ილია საბანკო კრებაზე შემთხვევით მოხვდა, და ამის მიზეზი დავით ერისთავი იყო. მან 1872 წლის 1 ნოემბერს ომისიდან წერილი მისწერა ილიას და დაბეჯითებით თხოვდა საბანკო კრებაზე დასწრებას. იგი წერდა: ,,ფინანსიის მეტყველებაში ცოტა სუსტად გახლავარ, ამიტომ მინდა შენთან მოლაპარაკება, რადგან მაზრის მარშალმა მიმიწვია თბილისს იმ კრებაზე, რომელმაც უნდა წინასწარი ბჭობა იქონიოს ბანკის დაარსების შესახებ, მე ქალაქს მივდივარ და მოგელი 14 ნოემბრამდე''. ილიას, როგორც ჩანს უარი შეუთვლია. დ. ერისთავი ილიას განმეორებით წერს: ,,ერთი სიტყვით, უშენობა ამ მოძრაობის დროს არ შეიძლება. თუ შენ ვერ წამოხვალ, შენი რეჩი მაინც გამოგზავნეო'' (თელია, 1989: 41).

ილიას თბილისში დაბრუნებისკენ მოუწოდებდა ნიკო ნიკოლაძეც, რომელიც სხვებთან ერთად (სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, აკაკი, გიორგი ყაზბეგი, ნიკო მესხიშვილი და სხვ.) რამდენჯერმე ასულა დუშეთში ილიასთან. საბოლოოდ, ილია დათანხმდა შემოთავაზებას და მონაწილეობა მიიღო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა 29 ნოემბრის სხდომაში, სადაც მიღებულ იქნა თბილისის გუბერნიის საადგილმამულო ბანკის დაარსების გადაწყვეტილება, რომელზეც ილია აირჩიეს წესდების შემმუშავებელი ახალი კომისიის თავმჯდომარედ. ,,ამავე კრების გადაწყვეტილებით ბანკის წესდების შემდგენ კომიტეტს დაევალა ბანკის ზედამხედველი კომიტეტის ფუნქციების შესრულება, ე.ი. ყველა საორგანიზაციო და წინა მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება, დაწყებული წესდების პროექტის მთავრობის მიერ დამტკიცებიდან თვით ბანკის გახსნის ჩათვლით (თელია, 1989: 42)''.

როგორც ა.თელია შენიშნავს, ქუთაისის ბანკის წესდების პროექტის დამტკიცებას 1876 წელს მოჰყვა დამფუძნებელთა კრება, რომელსაც უნდა გაეფორმებინა ბანკი და აერჩია ხელმძღვანელობა. კრების გახსნის წინ (11 აპრილს) სამწლიანი დუმილის შემდეგ გაზეთ ,,დროების'' ფურცლებზე ისევ გამოჩნდა ნიკო ნიკოლაძის ვრცელი და მეტად მკაცრი კრიტიკული სტატია სათაურით ,,ქუთაისის ბანკის საქმე''. ეს სტატია იმდენად ტენდენციურად და არაობიექტურად ჩათვალა გაზეთმა ,,დროებამ'', რომლის მუდმივი თანამშრომელი ნიკო ნიკოლაძეც იყო, რომ ,,ვერ გაბედა მისი დაბეჭდვა საკუთარი შენიშვნის გარეშე. ,,თუმცა ამ სტატიას ვბეჭდავთ, - ნათქვამია ,,დროების'' შენიშვნაში, - მაგრამ სიმართლე ვალსა გვდებს გამოვაცხადოთ, რომ მაგ სტატიაში გამოქვეყნებულ აზრებს და მსჯელობას არ ვეთანხმებით'' (თელია, 1989: 61).

ნიკო ნიკოლაძის სტატიას ილიამ გასცა დამაჯერებელი პასუხი, საიდანაც ჩანს, რომ აქ იქმნებოდა საფრთხე არამცთუ ქუთაისის, არამედ თბილისის ბანკისათვისაც. ,,უნდა ვაღიარო, იგი სტატია ამ საგანზე იმისთანა აზრებს ქადაგებს, ...რომელსაც შეუძლია საქმის წახდენა არა მარტო ქუთაისის, არამედ თბილისის გუბერნიაშიც. ამის გამო მე ჩემს უწმინდეს ვალად ვრაცხ, პირდაპირ აღვუდგე ამ სტატიასა'' (დროება, 1876). ნიკოლაძის სტატიის კრიტიკის დროს ილიას ყურადღება გაუმახვილებია კრედიტის ეკონომიკურ არსზეც, რომლის ძალითაც ,,მიწის სამოქმედო კრედიტს სამი უსათუო თვისება უნდა

ჰქონდეს. 1. ხანგრძლივი იყოს, 2. ცოტ-ცოტაობით და თანდათანობით გადასახადის და 3. მიწით დაიმედებული'' (თელია, 1989: 82).

ილიამ ნიკოლაძის არც სხვა მოსაზრებანი გაიზიარა და დაასაბუთა მეცნიერული დამაჯერებლობით მისი სიმცდარე. ქუთაისის ბანკის თავმჯდომარედ თავადაზნაურობამ აირჩია ბესარიონ ღოღბერიძე, რომელსაც მხარს უჭერდა ილია ჭავჭავაძეც. მაგრამ ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი და სერგეი მესხი შეუერთდნენ ღოღობერიძის მოწინააღმდეგეთა პარტიას. სერგეი მესხი თავის კერძო წერილში მეუღლისადმი აღნიშნავდა, რომ ილია ჭავჭავაძესთან დაშორება გამოიწვიაო ბესარიონ ღოღობერიძესთან მიმხრობამ. როგორც ა. თელია აღნიშნავს, ნიკოლაძესა და ილიას შორის 1876 წლის აპრილში ქუთაისის ბანკის საზოგადო კრებაზე ჩასახული უთანხმოება, ნიკოლაძის თქმით, ,,თითქმის დასაწყისი იყო მესამოციანელთა ერთი მეორისაგან განკერძოებისა და მესამოციანელთა ჯგუფის მთლიანობის დარღვევისა'' (თელია, 1989: 84). აქ ნიკოლაძე ხაზს უსვამს დაპირისპირებას სამოციანელთა ბანაკში.

1876 წლის 16 მაისს ნიკოლაძემ ილიას წერილის საპასუხოდ დაბეჭდა სტატია ,,მრუდე გამოსარჩლება''. ამ პოლემიკამ ცუდად იმოქმედა ბანკის ხელმღვანელთა ავტორიტეტზე. გრ. ორბელიანმა ბანკის კრებაზე მოუწოდა დამფუძნებლებს ძმობისა და ერთობისაკენ. რამაც, გამოიწვია კრების უმრავლესობის აღტაცება. აკაკი წერეთლის აზრით, ნიკოლაძის დავა არ იყო საფუძვლიანი და უფრო ბანკის ხელმძღვანელობასთან პირადი უთანხმოებიდან გამომდინარეობდა. კვლავ გრძელდებოდა დაპირისპირებანი ილიასა და ნიკოლაძეს შორის კრებებზე. ეს უკანასკნელი, მიიჩნევდა რა, რომ ვაჭრობა ახალფეხადგმული იყო, საადგილმამულო ბანკის დაარსებას მიზანშეწონილად არ თვლიდა. მისი აზრით, ,,ისეთ უფულო ხალხისათვის, როგორიც საქართველოს მცხოვრებია, საჭიროა დაარსდეს სრულიად ახალი საკრედიტო დაწესებულება, რომელსაც საზოგადოდ ,,ადგილმამულის კრედიტს'' ეძახიან'' (თელია, 1989: 79).

ბანკის საკითხებზე მსჯელობის დროს ნიკოლაძე იცავდა იმ მოსაზრებას, რომ მას უნდა შეეწყო ხელი ვაჭრობის განვითარებისათვის და არა ბანკის მონაგებიდან ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში დაბანდებისათვის. ნიკო ნიკოლაძე აკრიტიკებდა აგრეთვე ბანკის ანგარიშებსაც. მან საანგარიშო პერიოდში ბანკის როლი და მოგება არასაკმარისად მიიჩნია და რჩევა მისცა ფული ,,პრიკაზში'' დაებანდებინათ, რაც ბანკის გამგეობამ დამაჯერებელი საბუთებით უარყო. სამაგიეროდ, სწორედ ბანკის მონაგებიდან ხდებოდა სტუდენტების გაგზავნა რუსეთსა და უცხოეთში, რაც ილიას დიდ დაინტერესებასაც წარმოადგენდა (ილიას მიერ საბანკო პოლიტიკა ჩამოყალიბდა უკვე 1875 წლის 3 თებერვალს, თუმცა მონახაზი უფრო ადრეც ჰქონდა). ასე გრძელდებოდა 1876 წლის ჩათვლით. მაგრამ, მოგვიანებით, ნიკოლაძემ, დაინახა რა ბანკის დაარსების ილიასეული მოსაზრების მნიშვნელობა, ხელი აიღო მცდარ საბრძოლო პოლიტიკაზე. ასე დამთავრდა ა. თელიას აზრით, ბანკის გარშემო ბრძოლის პირველი სტადია.

,,ასე გააფთრებული ლომივით ებრძოდა დიდი ილია იმათ, ვისაც ბანკი წარმოედგინა თავისი ფუქსავატური ცხოვრების დაკმაყოფილების უშრეტ წყაროდ. მას ამ კეთილშობილურ ბრძოლაში მხარში ედგნენ პროგრესული თავადაზნაურობის ახალგაზრდა წარმომადგენლები დავით და ვლადიმერ მიქელაძეები, ბესარიონ ღოღობერიძე, კირილე ლორთქიფანიძე, სერგეი მესხი, აკაკი წერეთელი, პეტრე გრუზინსკი და მრავალი სხვა, ასევე მისი თერგდალეული მეგობრებით, თუმცა არა თავადაზნაურული წოდების მქონენი, ნიკო ნიკოლაძის სახით, - რომლებმაც ძალღონე არ დაიშურეს თავისი ქვეყნის სიკეთისათვის და ამ საქმით ისინი ამაღლდნენ იმ ბრწყინვალე აზრამდე, რომ ,,თითოეული ყველასათვის უნდა იყოს და ყველა თითოეულისათვისო'' (თელია, 1989: 71).

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ 1882 წელს ნიკო ნიკოლაძემ გულწრფელად აღიარა თავისი შეცდომები და გაზეთ ,, შრომაში'' დაწერა კიდეც ამის შესახებ: ,,შეცდომა ვის არ

მოსვლია, არ ცდება მარტო ის, ვინც არაფერს აკეთებს, არც არაფერს არ ფიქრობს. შეცდომა გასწორდება'' (შრომა, 1882).

ზემოდასახელებულზე თავისი მოსაზრება აქვს გამოთქმული მკვლევარ როსტომ ჩხეიძესაც, რომელიც ილიასა და ნიკო ნიკოლაძის დუელს ,,ჟურნალისტური დუელის'' კატეგორიას აკუთვნებს. რამდენადაც იგი ძირითადად პრესის ფურცლებზე გაშლილ პოლემიკას მოჰყვა. ამის შესახებ ზაზა აბზიანიძე (სტატიაში -,,დუელი და ქართველები'') შენიშნავს, რომ ,,ქართული დუელის'' ფენომენის ასახსნელად ავტორისათვის ძირითადი თეზა დიმიტრი ყიფიანის შეხედულებაა, რომლის ჩხეიძისეული ,,რეზიუმეც'' ასე ჟღერს: ,,რისი უფლებაც დიდ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შვილებს ჰქონდათ, თავისუფლების მაძიებელი ქვეყნის შვილებისთვის იგი გადამეტებული ფუფუნება ჩანდა, რასაც არ უნდა გამოსდევნებოდნენ. სისხლს შენახვა სჭირდებოდა. ენერგიას დაზოგვა. თავიც მხოლოდ ქვეყნის გამოსახსნელად შეიძლება გადაგედო'' (აბზიანიძე, 2013: 20).

დასკვნა. ამდენად, ორი ცნობილი პირის, ილიას ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის, დუელი სპონტანურად არ წარმოშობილა და მას საფუძვლად ედო არა ერთი, არამედ რამდენიმე ფაქტორი:

1. ჯერ კიდევ 1871 წლის ივნისში თავადაზნაურთა ნაწილსა და ,,ახალ ინტელიგენციას'' შორის იმპერატორ ალექსანდრე მეორისადმი გაგზავნილი თხოვნის ირგვლივ გაჩენილ პოლემიკაში ილია ჭავჭავაძეს თავიდანვე იცავს საქართველოში უნივერსიტეტის გახსნის მომხრეთა პოზიციას, მაშინ როდესაც ნიკო ნიკოლაძე მხოლოდ მოგვიანებით იჭერს ,,ახალი ინტელიგენციის'' მხარეს. აქ აშკარად იკვეთება არა კონფლიქტი, არამედ აზრთა სხვადასხვაობა და სწორ კონსენსუსამდე მისვლა, რაც მიგვაჩნია დაპირისპირების მცდელობის დასაწყისად;

2. ახალი მიზეზი ილიასა და ნიკო ნიკოლაძე დაპირისპირებისა იკვეთება ნ. დავითაშვილის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილების პუბლიკაციიდან, რასაც მოჰყვა გაღიზიანებული ნ. ნიკოლაძის გამოხმაურება;

3. ნ. ნიკოლაძის, როგორც მწერლისა და ლიტერატურათმცოდნის ღირსებების უარყოფითი შეფასება უნდა წარმოადგენდეს კიდევ ერთ მიზეზთაგანს პიროვნული შეურაცხყოფის გზაზე;

4. ილიას მიერ ნიკო ნიკოლაძის დასაბუთებული გაკიცხვა დრეპერის თეორიასთან დაკავშირებით კიდევ ერთ მიზეზად შეიძლება გამოიკვეთოს;

5. 1872-1876 წლებში სათავადაზნაურო ბანკის საქმიანობასა და პოზიციებთან დაკავშირებით საკმაოდ გაღრმავებულ კონფლიქტს მოჰყვა ნ. ნიკოლაძის უკვე გააზრებული ქმედება პრესის ფურცლებზე;

6. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ვიზიარებთ კრიტიკოს როსტომ ჩხეიძის მოსაზრებას ილიასა და ნიკო ნიკოლაძის შორის დუელის ,,ჟურნალისტური დუელის'' კატეგორიასთან მიკუთვნების შესახებ, რაც არ გასცდენია პრესის ფურცლებზე პოლემიკას.

გამოყენებული ლიტერატურა

აბზიანიძე, ზ. (2013). დუელი და ქართველები. *ისტორიანი.* #4 (28).

გამეზარდაშვილი, დ. (1978). *ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან.* ტ. 4, თსუ.

დროება. (1876). #39.

თელია, ა. (1989). *ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე.* თბილისი: გამომცემლობა ,,განათლება''.

შრომა. (1882). #124.

ჭრელაშვილი, ლ. (1997). ნ. დავითიშვილი (ილია ჭავჭავაძის უცნობი ნაწერები და ნ. ნიკოლაძესთან დუელის ისტორია). *მნათობი, #6.*

REFERENCES

abzianidze, z. (2013). dueli da kartvelebi [Duel and Georgians]. *ist'oriani [Istoriani].* #4 (28).

gamezardashvili, d. (1978). *kartuli lit'erat'urisa da k'rit'ik'is ist'oriidan [From the History of Georgian Literature and Criticism].* Vol. 4, TSU.

droeba [Droeba]. (1876). #39.

telia, a. (1989). *kartuli satavadaznauro bank'i da ilia ch'avch'avadze [Georgian National Bank and Ilia Chavchavadze].* Tbilisi: Publishing House ,,Ganatleba''.

shroma [Shroma]. (1882). #124.

ch'relashvili, l. (1997). n. davitishvili (ilia ch'avch'avadzis utsnobi nats'erebi da n. nik'oladzestan duelis ist'oria) [N. Davitishvili'' (unknown writings of Ilia Chavchavadze and the history of the duel with N. Nikoladze)]. *mnatobi [Mnatobi],* #6.